



საქართველოს ეროვნული ბანკი  
National Bank of Georgia

ივნიანი

# თვის ბიზნესილვა

---

2026

ინფლაცია .....	3
საბანკო სექტორი .....	5
საბარეო სექტორი .....	7
სავალუტო ბაზარი.....	10
ფულადი ბაზარი.....	13
მონეტარული აგრიგატები.....	14

“თვის მიმოხილვა“  
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის  
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ყოველთვიური პუბლიკაცია

ISSN 1512-1259



# ინფლაცია

მაისში წლიურმა ინფლაციამ 5.7% შეადგინა, ხოლო მარტთან შედარებით ფასების საერთო დონემ 0.3%-ით მოიმადა. ახლო აღმოსავლეთში არსებული დაძაბული გეოპოლიტიკური ვითარების ფონზე, ჰორმუზის სრუტეში ტანკერების მოძრაობა კვლავ მნიშვნელოვნად შეფერხებულია, რაც ნავთობის გლობალური მიწოდების შეზღუდვას იწვევს. შედეგად, სანავთობის ფასების ზრდა როგორც გლობალურად, ისე საქართველოში, ინფლაციის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად რჩება.

რაც შეეხება შედარებით ხისტი ფასების საზომებს, საბაზო ინფლაციამ, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მერყევ სურსათის, ენერგომადარებლების და სიგარეტის ფასებს გამოირიცხავს, მაისში 3.5% შეადგინა, ხოლო მომსახურების ინფლაცია 3.8%-ს გაუცოლდა.

## თვის ინფლაცია 0.3% (მნიშვნელოვანი წვლილები)

## წლიური ინფლაცია 5.7% (მნიშვნელოვანი წვლილები)




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

მაისში, გასულ თვესთან შედარებით, სანავთობის ფასებმა ზრდა განაგრძო. ბენზინი და დიზელი საშუალოდ, შესაბამისად, 6% და 9%-ით გაძვირდა, ხოლო ამ ორი პროდუქტის ჯამურმა წვლილმა თვის ინფლაციაში 0.3 პროცენტული პუნქტი (პპ) შეადგინა. სეზონური ფაქტორების გამო წინა თვესთან შედარებით შემცირდა ყველისა და ბოსტნეულის ფასები.

წლიურ ჭრილში ბენზინი და დიზელი შესაბამისად, 26% და 48%-ით გაძვირდა, ხოლო ჯამში სანავთობის გავლენამ ინფლაციაზე 1.3 პპ-მდე მოიმადა. ინფლაციის მატებაზე სურსათი კვლავ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, თუმცა მისი წვლილი გასულ თვეებთან შედარებით შემცირებულია. მაისში სურსათის ინფლაციამ 5.4%, ხოლო წვლილმა ინფლაციაში 1.7 პპ შეადგინა. აქედან ყველაზე დიდი გავლენა პურს (0.5 პპ) და ძროხის ხორცს (0.5 პპ) ჰქონდა. სხვა პროდუქტებიდან აღსანიშნავია ელექტროენერჯის (0.5 პპ), ჯანდაცვის (0.4 პპ) და სიგარეტის (0.3 პპ) წვლილები.


ინფლაციაზე შემცირების მიმართულებით ყველაზე მეტად საბაზო ეფექტის გამო კარტოფილის წლიური გაიფხვრა მოქმედებდა (-0.4 პპ) ზოგიერთი საყოფაცხოვრებო ტექნიკის (ტელევიზორი, მაცივარი, სარეცხი მანქანა) გაიფხვრებამ ინფლაცია ჯამში 0.2 პპ-ით შეამცირა.

## მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი


## ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

მაისში ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების წლიურმა ინფლაციამ 6.0% შეადგინა. ადგილობრივ ინფლაციაზე ყველაზე მეტი გავლენა პურის, ხორცისა და ყველის ფასებს აქვს (ჯამში 3.1 პპ). შერეულად წარმოებული პროდუქტების ინფლაციაში (5.6%) ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილები ელექტროენერჯის გადასახადსა (1.8 პპ) და ოქროს ბეჭედზე (0.9 პპ) მოდიოდა. იმპორტირებულმა ინფლაციამ 5.8%-მდე მოიმადა და ამის მთავარი მიზეზი სანავთობის (5.1 პპ) გაძვირებაა.

იმპორტული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი


ინფლაცია ჯგუფების მიხედვით	2026 წლის წონები	მაი26/აპრ26		მაი26/მაი25	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	0.3%	0.3%	5.7%	5.7%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	33.6%	-0.6%	-0.2%	5.2%	1.8%
სურსათი	30.8%	-0.9%	-0.3%	5.4%	1.7%
პური და პურპროდუქტები	6.3%	-0.1%	0.0%	7.0%	0.4%
ხორცი და ხორცპროდუქტები	7.0%	0.8%	0.1%	10.1%	0.7%
თევზი	0.5%	1.1%	0.0%	20.9%	0.1%
რძე, ყველი და კვერცხი	6.3%	-1.9%	-0.1%	4.1%	0.2%
ზეთი და ცხიმი	2.7%	-0.2%	0.0%	6.1%	0.2%
ხილი, ყურძენი	1.8%	3.2%	0.1%	6.5%	0.1%
ბოსტნეული, ბალახეული, კარტოფილის და სხვა ბოლქოვანების ჩათვლით	3.0%	-7.5%	-0.3%	-7.0%	-0.3%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.8%	-0.1%	0.0%	6.0%	0.2%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	-0.1%	0.0%	-0.8%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.8%	2.2%	0.1%	2.8%	0.1%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.6%	0.8%	0.1%	7.2%	0.5%
დანსაცმელი და ფეხსაცმელი	4.3%	0.8%	0.0%	3.0%	0.1%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.7%	0.4%	0.0%	7.0%	0.7%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.0%	1.1%	0.0%	-1.3%	-0.1%
ჯანმრთელობის დაცვა	8.3%	0.2%	0.0%	5.1%	0.4%
დრანსპორტი	11.4%	3.2%	0.4%	15.1%	1.7%
კავშირგაბმულობა	3.1%	-3.2%	-0.1%	-6.4%	-0.2%
დასვენება, გართობა და კულტურა	4.2%	-0.1%	0.0%	-0.1%	0.0%
განათლება	5.3%	0.0%	0.0%	2.4%	0.1%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.3%	1.4%	0.0%	7.6%	0.2%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.1%	-1.1%	-0.1%	8.0%	0.4%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	59.8%	0.3%	0.2%	7.8%	4.7%
საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელი	7.9%	0.5%	0.0%	1.4%	0.1%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	5.6%	-0.2%	0.0%	-1.7%	-0.1%
მომსახურება	26.7%	0.3%	0.1%	3.8%	1.0%

წყარო: საქსტატი

# საბანკო სექტორი


აპრილში საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად, 11.2 მლრდ ლარით, 19.1%-ით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით 20.0%-ით) და 70.0 მლრდ ლარი შეადგინა. თვის წრილში კი, იმავე მაჩვენებელმა 0.6 მლრდ ლარით მოიმადა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეროვნული ვალუტის სადეპოზიტო ვალდებულებები 9.3 მლრდ ლარით (33.0%-ით), ხოლო წინა თვესთან შედარებით 0.3 მლრდ ლარით (0.8%-ით) გაიზარდა და 37.4 მლრდ ლარი შეადგინა. რაც შეეხება, უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, მისმა მოცულობამ წლიურად 2.0 მლრდ ლარით (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით 8.1%-ით) მოიმადა, ხოლო წინა თვესთან შედარებით, 0.3 მლრდ ლარით (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით 0.7%-ით) გაიზარდა.

## სადაპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


## სადაპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


აპრილში მთლიანი დეპოზიტების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის დეპოზიტებზე არსებული საპროცენტო განაკვეთების გარეშე), წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით შემცირდა და 5.6%-ს გაუცოლდა. ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 7.1%-მდე, შემცირდა. ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე, საშუალო შენონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი თითქმის უცვლელად შენარჩუნდა და 1.7%-ს შეადგენს. რეზიდენტების ლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები კი 0.1 პპ-ით 9.8%-მდე, ევროს ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთებმა 0.3 პპ-ით, 1.2%-მდე შემცირდა. რეზიდენტების აშშ დოლარით განთავსებული დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები კი უცვლელად 2.5%-ზე შენარჩუნდა.

## დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაკადი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


## რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაკადი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**დეპოზიტების დოლარიზაცია აპრილში არ შეცვლილა და 46.6%-ს შეადგენს.** აპრილის ბოლოს ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 0.3 პპ-ით შემცირდა და 60.3% შეადგინა. იურიდიული პირების დოლარიზაცია 0.3 პპ-ით გაიზარდა 37.4% შეადგინა. ამასთან, ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია, აპრილში, წინა თვესთან შედარებით 0.7 პპ-ით, 53.4%-მდე შემცირდა.

**დეპოზიტების დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ფიზიკური პირების ვალდანი დეპოზიტების დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


აპრილში, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხების ზრდის ტემპი 0.8 პპ-ით შემცირდა და წლიური მაჩვენებელი 14.1%-ს გაუტოლდა. აღნიშნული, როგორც უცხოური ვალუდის, ისე ეროვნული ვალუდის დაკრედიტების ზრდის ტემპის კლებამ განაპირობა. კერძოდ, უცხოური ვალუდის სესხების ზრდის ტემპი 0.6 პპ-ით, 12.9%-მდე, შემცირდა, ხოლო ეროვნული ვალუდით დაკრედიტების წლიური ზრდის ტემპი თვის წრილში დაახლოებით 0.9 პპ-ით შემცირდა და 15.0% შეადგინა. მთლიანი სესხების ზრდაში დაახლოებით 8.5 პპ-იანი წვლილი ლარის, ხოლო 5.6 პპ-იანი უცხოური ვალუდის დაკრედიტებამ შეიტანა. საკრედიტო პორტფელის მიზნობრიობის წრილში, დაკრედიტების ზრდის ტემპის კლება, მეტწილად, ბიზნესის დივიზის სესხებით აიხსნება, რომლის წვლილიც მთლიანი სესხების ზრდაში 0.8 პპ-ით შემცირდა 6.6 პპ-მდე.

**სესხების წლიური ზრდის ტემპი (წვლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)**

**სესხები მიზნობრიობის მიხედვით (წვლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


აპრილში სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.3 პპ-ით გაიზარდა და 13.3% შეადგინა. კერძოდ, ეროვნული ვალუდით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით 15.6%-მდე გაიზარდა. ხოლო, უცხოური ვალუდით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.4 პპ-ით 9.6%-მდე გაიზარდა.

**საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებაზე გაცემულ სესხებაზე (ნაპალი)**

**საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებაზე (ნაპალი)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აპრილში იურიდიულ პირების საპროცენტო განაკვეთები ეროვნულ ვალუტაში 0.3 პპ-ით 12.6%-მდე შემცირდა. იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთი ეროვნულ ვალუტაში, წინა თვესთან შედარებით, 0.04 პპ-ით 11.8%-მდე შემცირდა. ამავდროულად, იურიდიული პირების უცხოური ვალუტის სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.5 პპ-ით გაიზარდა და 9.8% შეადგინა, ხოლო იპოთეკური სესხების უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთი კი თითქმის 0.1 პპ-ით 7.7%-მდე შემცირდა.

აპრილში მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია 0.1 პპ-ით, 42.5%-მდე შემცირდა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით 0.8 პპ-ით გაიზარდა და 66.3% შეადგინა. ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია კი 0.5 პპ-ით 22.0%-მდე შემცირდა. აპრილში, ვადაგადაცილებული სესხები, წინა თვესთან შედარებით, 5.3 მლნ ლარით შემცირდა და 703.1 მლნ ლარს გაუცოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 46.8% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

**დოლარიზაცია (კურსის ფიქსირების გამოცხადებით)**

**ვადაგადაცილებული დავალიანება**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



# საბარეო სექტორი

აპრილში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 15.7%-ით გაუმჯობესდა და -765.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში საქონლის იმპორტი წლიურად 2.9%-ით შემცირდა და 1.5 მლრდ აშშ დოლარს გაუცოლდა, ხოლო ექსპორტი 16.1%-ით გაიზარდა და 716.3 მლნ აშშ დოლარს შეადგინა. აქედან, მსუბუქი ავტომობილების კონტრიბუციამ ექსპორტში -13.0 პპ, ხოლო იმპორტში -7.7 პპ შეადგინა.

ამასთან, ადგილობრივი ექსპორტის ზრდა აპრილშიც გაგრძელდა და წლიურად 69.3%-იანი ზრდის შედეგად 428.2 მლნ აშშ დოლარს გაუცოლდა.

**საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და სავაჭრო ბალანსის დინამიკა (მლნ აშშ დოლარი)**

**სავაჭრო ბალანსი ქვეყნების მიხედვით (აპრილი 2026)**



წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი


**იმპორტი** - აპრილში საქონლის იმპორტის შემცირება ძირითადად სამომხმარებლო და საინვესტიციო დანიშნულების საქონლის იმპორტის კლებამ განაპირობა. მათი წვლილი წლიურ ცვლილებაში, შესაბამისად -2.8 პპ და -1.9 პპ იყო. ამავდროულად, პერიოდში, შუალედური მოხმარების საქონლის იმპორტი გაიზარდა (1.8 პპ დადებითი კონტრიბუციით).

სამომხმარებლო საქონლის კატეგორიაში, როგორც აღინიშნა, ერთის მხრივ, მნიშვნელოვნად შემცირდა მსუბუქი ავტომობილების იმპორტი, რომლის კონტრიბუციამ -5.7 პპ შეადგინა. მეორე მხრივ, გაიზარდა ნავთობპროდუქტების იმპორტი. ამასთან, მსუბუქი ავტომობილების გამორიცხვით, სამომხმარებლო იმპორტი ზრდის ტენდენციას ინარჩუნებს.


შუალედური მოხმარების საქონლის ქრილში აღსანიშნავია ნავთობის აირების იმპორტის ზრდა.

**საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)**

**საქონლის იმპორტი (წილი მთლიან იმპორტში)**



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი

ქვეყნების ჯგუფის წრილში, აპრილის იმპორტის წლიურ ცვლილებაში ევროკავშირის ქვეყნები კლების მიმართულებით მოქმედებდა, კერძოდ, წვლილმა **-9.3 პპ** შეადგინა. აღნიშნული ქვეყნების ჯგუფში, სასაქონლო წრილში კი კლებას ძირითადად მსუბუქი ავტომობილები განაპირობებდა. შედეგად, ევროკავშირის წილი ავტომობილების მთლიან იმპორტში წლიურად 22.7%-დან 13.2%-მდე შემცირდა. მეორე მხრივ, გაზრდილია სამკურნალო საშუალებებისა და კომპიუტერების იმპორტი.

ქვეყნებს შორის იმპორტის შემცირების მიმართულებით ყველაზე დიდი წვლილი აშშ-ს ჰქონდა. ასევე შემცირებული იყო იმპორტი გერმანიიდან და გაერთიანებული სამეფოდან. საპირისპიროდ, გაზრდილია რუსეთიდან, ჩინეთიდან და თურქეთიდან იმპორტზე დანახარჯები.


- აშშ-დან და გერმანიიდან შემცირებული იყო მსუბუქი ავტომობილების იმპორტი.
- რუსეთიდან გაიზარდა ნავთობის აირების და ნავთობპროდუქტების იმპორტი.
- ჩინეთიდან იმპორტი ძირითადად გაზრდილია მსუბუქი ავტომობილებისა და სამრეწველო პროდუქციის ხარჯზე.

აღნიშნულ თვეში, ევროკავშირისა და 4 ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაზე მთლიანი იმპორტის 68.8% მოდიოდა.


აღსანიშნავია, რომ პროდუქტების წრილში, აპრილში იმპორტირებულ საქონელში წამყვანი წილი მსუბუქი ავტომობილებისა და ნავთობპროდუქტების იმპორტს ეკავა. მაღალი წილის მიუხედავად, მსუბუქ ავტომობილებს კლებაში ყველაზე მაღალი წვლილი ჰქონდა.

**ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში (აპრილი 2026)**

**საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)**



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება




წყარო: საქსტატი


**ექსპორტი** - აპრილში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტის წლიური ზრდა ძირითადად შუალედური მოხმარების (9.2 პპ კონტრიბუციით) და სამომხმარებლო (6.7 პპ კონტრიბუციით) საქონლის ექსპორტის ზრდამ განაპირობა. ამასთან, უმნიშვნელოდ გაიზარდა საინვესტიციო საქონლის ექსპორტი წლიურ ზრდაში 0.1 პპ კონტრიბუციით.

შუალედური მოხმარების საქონლის ჯგუფიდან გაზრდილი იყო ადგილობრივი წარმოების პროდუქტების, ძვირფასი ლითონების მადნების, სპილენძის მადნებისა და ფეროშენადნობების ექსპორტი.

სამომხმარებლო საქონლის ჯგუფიდან გაზრდილია ნავთობპროდუქტების ექსპორტი, ხოლო მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი განაგრძობდა შემცირებას, -13.0 პპ წვლილით.



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

**ქვეყნების ჯგუფის წილში, აპრილის შესაძენი წლიურ ცვლილებაში, ევროკავშირის ქვეყნებიდან მიღებულ საექსპორტო შემოსავლების წვლილი 11.4 პპ შეადგინა.** ეს ძირითადად ძვირფასი ლითონების მადნების შესაძენი ზრდას უკავშირდებოდა. თუმცა მინერალური სასუქების შესაძენი შემცირებულია.

ამავე პერიოდში, ქვეყნებს შორის, საექსპორტო შემოსავლები ძირითადად თურქეთიდან, სომხეთიდან და ჩინეთიდან გაიზარდა. თუმცა შესაძენი ცენტრალური აზიის ქვეყნებში შემცირებულია, მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის კლების გამო.

თურქეთიდან და ჩინეთიდან საექსპორტო შემოსავლების ზრდა ძირითადად ნავთობპროდუქტებს უკავშირდება, ხოლო სომხეთის შემთხვევაში გაზრდილია როგორც მსუბუქი ავტომობილების, ასევე ნავთობპროდუქტების შესაძენი.


აპრილში საქონლის შესაძენი უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს (24.1%-იანი წილი მთლიან შესაძენი) ეჭირა. ძირითადი საექსპორტო პროდუქტებიდან გაზრდილია ძვირფასი ლითონების მადნების, სპილენძის მადნებისა და ფეროშენადნობების შესაძენიდან მიღებული შემოსავლები.

წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით შესაძენი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

**ფულადი გზავნილები** - აპრილში საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობა წლიურად 7.6%-ით, 318.1 მლნ აშშ დოლარამდე, გაიზარდა. ხოლო საქართველოდან გადმორიცხული თანხების მოცულობა 10.2%-ით, 35.2 მლნ აშშ დოლარამდე. ზრდაში წამყვანი კონტრიბუცია ევროკავშირიდან მიღებულმა ფულადმა გზავნილებმა (3.0 პპ) შეიძინა წლიური 6.8%-იანი ზრდით. 8.0%-იან ზრდას განაგრძობდა აშშ-დან მიღებული გზავნილები (კონტრიბუცია 1.5 პპ). ისრაელიდან გზავნილების ზრდამ წლიურად 22.9%, ხოლო წვლილმა ზრდაში 1.7 პპ შეადგინა.


აპრილში ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (44.5%), აშშ (18.3%) და რუსეთი (13.2%) წარმოადგენდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის (16.8%), გერმანიის (9.0%) და საბერძნეთის (8.0%) მაღალი წილი.

**ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებში (აპრილი 2026)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ფულადი გზავნილების ზრდა (წლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

# სავალუტო ბაზარი


აპრილში წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.7188-დან 2.6955-მდე (0.9%-ით) გამყარდა, ხოლო ევროს მიმართ 3.1460-დან 3.1481-მდე (0.1%) გაუფასურდა. თვის ბოლოს ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.6920 და 3.1499 შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში ლარი-დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა 2.7015 იყო, მინიმალური კი - 2.6920.

## ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაგრამა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თვის განმავლობაში საშუალო კურსთან შედარებით, გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა მინიმალურზე ორჯერ მეტად იყო გადახრილი.


აპრილში, საშუალოდ დოლართან მიმართებაში, საქართველოს თითქმის ყველა სავაჭრო პარტნიორის ვალუტა გამყარდა, გარდა თურქული ლირისა. შესამჩნევია იყო რუსული რუბლის გამყარება, ასევე გამყარდა ევრო, ლარი და სომხური დრამი. აზერბაიჯანული მანათი კი პრაქტიკულად არ შეცვლილა.

## თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების<sup>1</sup> თვიური ცვლილება დოლართან მიმართებით (აპრილი 2026; ზრდა=გაუფასურება)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (REER) წლიურად 0.5%-ით გაუფასურდა, თვის წრილში კი 0.6%-ით გამყარდა. რაც შეეხება ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსს (NEER), აპრილში წლიურად 2.0%-ით, თვის წრილში კი 0.1%-ით გამყარდა.

ზოგადად, ეფექტური კურსის გაუფასურება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე დადებითად აისახება, თუმცა იმპორტულ ინფლაციაზე ზრდის მიმართულებით მოქმედებს.

გლობალურად მომადგებელი გაურკვევლობის და გაზრდილი ინფლაციური რისკების ფონზე ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები გაიზარდა.


<sup>1</sup>წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი <https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data>

**ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსები (იან 2020=100)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**საპაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები (აპრილი 2026)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**სავალუტო ბაზრის ტენდენციები**


აპრილში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 16 კომერციული ბანკი, 2 მიკრობანკი და 6<sup>2</sup> არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის მაღალ კონკურენტუნარიანობაზე მიუთითებს.

**ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი საპაჭრო ბრუნვა**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილების მიხედვით**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აპრილში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა გაზრდილია, როგორც თვის ასევე წლიურ ფრილში. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 419.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 257.5 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წინა წლის აპრილთან შედარებით - 87.6 მლნ აშშ დოლარით მეტია. ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 5.1%-ით გაიზარდა, წლიურად კი 10.5%-ით შემცირდა.

აპრილში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები (უცხოური ვალუდით ლარის შექმნა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) თითქმის მთლიანად სპოტ<sup>3</sup> გარიგებებით ხდებოდა (96.9%) და მთლიანმა ვაჭრობამ 3,501.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 171.7 მლნ აშშ დოლარითაა გაზრდილი, ხოლო თვის ფრილში - 21.6 მლნ აშშ დოლარით. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე, მცირე კი - არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 9.5% იყო. წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით, თვის განმავლობაში, ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ 333.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

<sup>2</sup> რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.  
<sup>3</sup> სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუდირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.


**საბ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე**



\* ანგარიშსწორების თარიღით

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**საოტ გარიგებებით უცხოური ვალუდით ვაჭრობა**



\* გრაფიკზე წარმოდგენილი სიდიდეები ასახავს უცხოური ვალუდით ლარის შექმნისა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციების ბრუნვებს


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**აპრილში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ წლიურად უცხოურ ვალუტაზე გაზრდილია როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება.**

საერთო ჯამში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აპრილში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 136.1 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის წრილში 102.0 მლნ აშშ დოლარით) და 1,648.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება წლიურად 35.5 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის წრილში 80.4 მლნ აშშ დოლარით შემცირდა) და 1,853.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საოტ გარიგებებით როგორც ვალუტის შექმნაში, ისე გაყიდვაში, ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე მოდიოდა.

აპრილში სავალუტო ფორვარდ<sup>4</sup> გარიგებებით (უცხოური ვალუდით ლარის შექმნა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუდით ვაჭრობა წლიურად 82.9 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის წრილში - 96.9 მლნ აშშ დოლარით) და 111.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებსა და არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა გაყიდვამ 72.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


**ბანკთაშორისი საოტ გარიგებებით შექმნილი და გაყიდული უცხოური ვალუტა**



\* გრაფიკზე წარმოდგენილი სიდიდეები ასახავს უცხოური ვალუდით ლარის შექმნისა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციების ბრუნვებს

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუდით ვაჭრობა**




\* გრაფიკზე წარმოდგენილი სიდიდეები ასახავს უცხოური ვალუდით ლარის შექმნისა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციების ბრუნვებს

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აპრილის მდგომარეობით, წინა თვესთან შედარებით, ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 154.2 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, რეზერვების მთლიანმა მოცულობამ კი 6.5 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვებზე ზრდის მიმართულებით მოქმედებდა მთავრობის მიერ მიღებული სავალუტო ჩარიცხვები, რეზერვებზე საპროცენტო შემოსავლები, მონეტარული ოქროს გადაფასება და სავალუტო ინტერვენციების საშუალებით უცხოური ვალუტის წმინდა შექმნა, ხოლო შემცირების მიმართულებით - მთავრობის სავალუტო ხარჯები (სესხის მომსახურება).


<sup>4</sup> სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების შევიწროებისთვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

**ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## ფულადი ბაზარი

აპრილში სადებოზიტო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულების სამთვიანი სადებოზიტო სერტიფიკატი გაიყიდა. ამავე პერიოდში 20 მლნ ლარის ერთი სადებოზიტო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიტო სერტიფიკატების ნაშთი არ შეცვლილა და 60 მლნ ლარი შეადგინა.


აპრილში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ექვსი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 195.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, სამწლიანი, ხუთწლიანი და ორი ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 40, 45 და 70 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. **სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 163.5 მლნ ლარით გაიზარდა და 11,755.0 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 69.6%-ს კომერციული ბანკების, 9.6%-ს ეროვნული ბანკის, 16.1%-ს რეზიდენტების, ხოლო 4.7%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.**

**სადებოზიტო სერტიფიკატების მოცულობა (ნაპალი)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


აპრილში როგორც სადებოზიტო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთები, ასევე სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთებიც გაიზარდა, ხოლო სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები მეტწილად უცვლელად შენარჩუნდა. კერძოდ, აპრილში, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიტო სერტიფიკატებზე საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 7.9%-მდე, გაიზარდა. ექვსთვიანი და ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები შესაბამისად 0.2 პპ-ით და 0.1 პპ-ით გაიზარდა და 8.0%-8.0% შეადგინა. 3 და 5 წლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები უცვლელად 8.4%-სა და 8.6%-ზე შენარჩუნდა. ხოლო 10 წლიანი სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით, 9.3%-მდე, შემცირდა.

**ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ლარის შამოსავლიანობის გრუდი**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აპრილში ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის მოცულობა თვის წრილში 1,457.8 მლნ ლარით (წლიურად 2,915.3 მლნ ლარით გაიზარდა) 20,950.4 მლნ ლარამდე გაიზარდა, რაც მეტწილად უცხოური ვალუტის რესურსით არის განპირობებული. ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის დიდი წილი უცხოური ვალუტის ბრუნვაზე მოდის (74.7%), რომლის მოცულობაც თვის წრილში 162.3 მლნ ლარით (1.0%-ით) შემცირდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი თვის წრილში 1,620.0 მლნ ლარით (44.1%-ით) გაიზარდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი თვის წრილში გაიზარდა 0.2 პპ-ით და 7.4% შეადგინა. ასევე, უცხოური ვალუტის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით გაიზარდა და 1.6%-ზე შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ აპრილში ფულადი ბაზრის რესურსის 26.7% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 72.8% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

**ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**მონეტარული აბრეგაჟები**

აპრილში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 446.7 მლნ ლარით (5.6%-ით) გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის, 8.4 მლრდ ლარი შეადგინა. საშუალო მაჩვენებლის მიხედვით კი, წინა თვესთან შედარებით, 166.3 მლნ ლარით (9.5%-ით) შემცირდა.

აპრილში სავალუტო აუქციონების გამოყენებით ეროვნულ ბანკს ოპერაციები არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო შესყიდვებმა თვის განმავლობაში 333.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, შიდა სამთავრობო კონვერტაციებით ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 200.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული ოპერაციების შედეგად, წმინდა უცხოური აქტივები 132.9 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.


აპრილში, მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 398.7 მლნ ლარით შემცირდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის, 923.4 მლნ ლარს გაუცოლდა.

**სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება კომპონენტების მიხედვით**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ფულადი აკრედიტები**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აპრილში ნაღდ ფულზე მოთხოვნა 96.0 მლნ ლარით გაიზარდა. ამასთან რეფინანსირების სესხების მოცულობა, წინა თვესთან შედარებით, 215.0 მლნ ლარით შემცირდა. ერთდღიანი სესხის ნაშთი კი 70.0 მლნ ლარით გაიზარდა. აპრილში დაიფარა 20.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები და განხორციელდა იმავე მოცულობით განთავსება. მეორად ბაზარზე, სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ოპერაციები არ განხორციელებულა. მთლიანობაში, აპრილში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 285.0 მლნ ლარით გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის, 3,655.6 მლნ ლარს გაუცოლდა.


აპრილში ფართო ფულის (M3) მოცულობა თვიურად 0.1 მლრდ ლარით, ხოლო ფართო ფულის M2 აგრეგატის მოცულობა 0.2 მლნ ლარით გაიზარდა.

**საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**მონეტარული ოპერაციები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1  
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06  
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

